კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი
შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“

ინდივიდუალური შუალედური ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისით

არა-აუდირებული

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა 5
2. მომზადების საფუძველი 6
3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება 18

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით(ათას ლარში)

	6M 2024 არა-აუდირებული	2023 აუდირებული	6M 2023 არა-აუდირებული	2022 აუდირებული
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	63,006	54,961	112,977	109,530
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	–	46,207	–	–
წარმოებული ფინანსური აქტივები	491	642	1,620	825
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	529,491	467,716	439,224	425,849
აქტივის გამოყენების უფლება	6,254	5,290	6,420	5,667
ძირითადი საშუალებები	33,038	16,127	17,529	16,340
არამატერიალური აქტივები	854	831	692	475
სხვა აქტივები	11,370	18,111	14,081	16,511
სულ აქტივები	**644,504**	**609,885**	**592,543**	**575,197**
ვალდებულებები				
გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	130,458	129,693	-	–
გამოშვებული მარტივი თამასუქები	123,365	100,937	209,745	115,263
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	1,363	2,900	88	2,093
ნასესხები სახსრები	56,003	42,189	43,383	132,944
საიჯარო ვალდებულებები	3,848	4,644	6,242	5,039
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	4,080	3,991	2,863	4,081
სხვა ვალდებულებები	6,875	10,279	9,826	15,233
სულ ვალდებულებები	**325,992**	**294,633**	**272,147**	**274,653**
საკუთარი კაპიტალი საწესდებო კაპიტალი	1,584	1,584	1,584	1,584
გადაფასების რეზერვი	17,149	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	299,778	313,668	318,812	298,960
სულ საკუთარი კაპიტალი	**318,512**	**315,252**	**320,396**	**300,544**
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	**644,504**	**609,885**	**592,543**	**575,197**

ხელმოწერილია და ნებადართულია გამოსაცემად 2023 წლის 12 აგვისტო

თამარ გოგოძე — დირექტორი

გიორგი ნაროუშვილი — ფინანსური დირექტორი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისი

(ათას ლარში)

	6M 2024 არა-აუდირებული	6M 2023 არა-აუდირებული
ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	52,271	45,733
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	2,677	3,150
	54,948	**48,884**
საპროცენტო ხარჯი ნასესხები სახსრები	(7,357)	(6,617)
მარტივი თამასუქები	(3,990)	(6,234)
საიჯარო ვალდებულებები	(2,679)	(580)
	(14,026)	**(13,431)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**40,922**	**35,453**
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (დანარიცხი)/გაუქმება	3,207	933
წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ	**44,129**	**36,386**
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	3,449	4,533
საკომისიო ხარჯები	-	-
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი):	21,199	12,804
–სავალუტო ოპერაციები		
–საკურსო სხვაობა	(2,458)	3,224
– ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	(16,991)	(10,862)
შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი	566	1,162
არასაპროცენტო შემოსავალი	**5,766**	**10,861**
თანამშრომლებზე გაწეული დანახარჯები	(10,318)	(9,013)
ცვეთა და ამორტიზაცია	(5,057)	(2,772)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,577)	(4,433)
არასაპროცენტო ხარჯი	**(17,952)**	**(16,217)**
მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე	31,943	31,030
მოგების გადასახადის ხარჯი	(3,010)	(5,325)
წლის მოგება	**28,933**	**25,705**
სხვა სრული შემოსავალი	–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	**28,933**	**25,705**

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისი

(ათას ლარში)

		გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვარი	**1,584**	**298,960**	**300,544**
წლის მოგება	-	25,705	25,705
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	25,705	25,705
გამოცხადებული დივიდენდები	**-**	**(5,853)**	**(5,853)**
2023 წლის 30 ივნისი	**1,584**	**318,812**	**320,396**
2024 წლის 1 იანვარი	**1,584**	**306.845**	**308,430**
გადაფასების რეზერვი	-	17,149	17,149
წლის მოგება	-	28,993	28,993
გამოცხადებული დივიდენდები (მე–15	**-**	(36,060)	(36,060)
2024 წლის 30 ივნისი	**1,584**	**316,927**	**318,511**

(ათას ლარში)

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 30 ივნისის დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)	6M 2024 არა-აუდირებული	6M 2023 არა-აუდირებული
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		
მიღებული პროცენტი	52,271	45,733
გადახდილი პროცენტი	(14,026)	(13,431)
შემოსულობა დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან	17,557	12,511
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები	5,239	4,777
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი	3,449	4,533
სხვა მიღებული შემოსავალი	375	15
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(10,318)	(9,013)
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,652)	(4,433)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	**49,895**	**40,693**
საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		
ცვლილება საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში		
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(31.775)	(23,701)
სხვა აქტივები	(6,741)	(12,205)
სხვა ვალდებულებები	3,404	4,194
(საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული)/საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	**14,783**	**8,982**
დაბეგვრამდე		
გადახდილი მოგების გადასახადი	(3,009)	(8,321)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**11,774**	**661**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი სახსრები საბანკო ანაბრებიდან		
წმინდა თანხების გამოტანა	10,512	5,464
ძირითადი საშუალებების შეძენა	(3,233)	(1,920)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	10	508
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული/(საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**7,289**	**4,051**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	62,000	84,000
ნასესხები სახსრების დაფარვა	(55,798)	(173,561)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	(1,130)	(1,203)
(გადახდილი) გამოშვებული მარტივი თამასუქები, წმინდა	22,428	95,537
გადახდილი დივიდენდები	(36,060)	(5,853)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	**(8,560)**	**(1,079)**
გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(2,458)	(186)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	-49,971	3,447
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	**54,961**	109,530
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	**63,006**	**112,977**

(ათას ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“, რეგისტრაციის ნომერი: 205034639) 2004 წლის 1 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

2007 წლის 11 აპრილს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის ნომრით #80407. 2013 წლის 26 ივნისს კომპანიას სებ–ისგან მიენიჭა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი #70, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ–მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

2024 წლის 30 ივნისის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ქალბატონი დალი ურუშაძე იყო.

ბიზნესგარემო

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე; საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ლარის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებით და 2022 წელს მშპ–ის 10%–იან ზრდას. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული.

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ლარი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი“) თუკი სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

- სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეყრდნობა იმ ვარაუდს, რომ ადგილი აქვს აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგებას:

- აქტივის ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად – არაემპირიული ამოსავალი მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- 1–ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (გაუკორექტირებელი).
- მე–2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- მე–3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები

საწყისი აღიარება

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა–გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც შესყიდული აქტივი კომპანიას გადაეცა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა–გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა–გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

საწყისი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნეს–მოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება–ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები

კომპანიამ მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნეს–მოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთ–ერთით:

- ამორტიზებული ღირებულება;
- სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანია მისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

ფულადი სახსრების ეკვივალენტები და მომხმარებლებზე გაცემული სესხები ამორტიზებული ღირებულებით

კომპანია მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ დაცულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამ პირობების შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის განსაზღვრული.

ბიზნეს–მოდელის შეფასება

კომპანია თავის ბიზნეს–მოდელს განსაზღვრავს ისეთ დონეზე, რომელიც საუკეთესად ასახავს როგორ მართავს ის ფინანსური აქტივების ჯგუფს მისი საქმიანი მიზნების მისაღწევად.

კომპანიის ბიზნეს–მოდელი არ ფასდება თითოეული ინსტრუმენტის საფუძველზე. ის აფასებს აგრეგირებული პორტფელების უმაღლეს დონეზე და ის ეფუძნება ისეთ ემპირიულ ფაქტორებს, როგორიც არის:

- როგორ ფასდება ბიზნეს–მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს–მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი გაცხადება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წინაშე.
- როგორ ფასდება ბიზნეს–მოდელის განხორციელება და ამგვარ ბიზნეს–მოდელში შემავალი ფინანსური აქტივები და როგორ ხდება მათი ანგარიშგება საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მიმართ;
- როგორ ხდება საქმიანობის მენეჯერების კომპენსირება (მაგალითად, თუ კომპენსაცია ეფუძნება მართვის ქვეშ მყოფი აქტივების სამართლიან ღირებულებას ან მიღებულ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს);
- გაყიდვების მოსალოდნელი სიხშირე, ღირებულება და ვადები კომპანიის შეფასების სხვა მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოადგენს.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

ბიზნეს–მოდელის შეფასება გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელ სცენარებს ეფუძნება, ‘ყველაზე ცუდი’ და ‘სტრესული შემთხვევის’ სცენარების გათვალისწინების გარეშე. თუ საწყისი აღიარების შემდეგ ფულადი ნაკადები რეალიზდება ისეთი ფორმით, რომელიც განსხვავდება კომპანიის თავდაპირველი მოლოდინებისგან, კომპანია არ ცვლის ამგვარ ბიზნეს–მოდელში წარმოდგენილი დარჩენილი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას. ამის ნაცვლად ის ამგვარ ინფორმაციას იყენებს ახლად წარმოქმნილი ან ახლად შეძენილი ფინანსური აქტივების შეფასებას.

SPPI–ტესტი

კლასიფიკაციის პროცესის მეორე ეტაპის სახით, იმის განსასაზღვრად, აკმაყოფილებს თუ არა ის SPPI–ტესტის მოთხოვნებს, კომპანია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობებს აფასებს.

ამ ტესტის მიზნებისთვის ‘ძირითადი თანხა’ განისაზღვრება ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების სახით, თავდაპირველი აღიარებისას და შესაძლოა შეიცვალოს ფინანსური აქტივის ვადის განმავლობაში (მაგალითად, თუ ადგილი აქვს ძირითადი თანხის დაფარვას ან პრემიის/ფასდაკლების ამორტიზაციას).

სასესხო გარიგებებში პროცენტის ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები, ჩვეულებრივ, წარმოადგენს გადახდებს ფულის დროითი ღირებულების და საკრედიტო რისკისთვის. მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდების შესაფასებლად, კომპანია იყენებს მსჯელობას და ითვალისწინებს ისეთ შესაბამის ფაქტორებს, როგორიც არის ვალუტა, რომელშიც გამოხატულია ფინანსური აქტივი და პერიოდი, რომლისთვისაც განისაზღვრება საპროცენტო განაკვეთი.

შედარებისთვის, სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც განსაზღვრავენ რისკების მინიმუმზე მეტ დაქვემდებარებას ან ისეთი სახელშეკრულებო ფულად ნაკადებში არასტაბილურობა, რომლებიც არ უკავშირდება ძირითად სასესხო გარიგებებს, არ წარმოშობს სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ თანხაზე. ასეთ შემთხვევებში, ფინანსური აქტივი სამართლიანი ღირებულებით უნდა შეფასდეს, მოგებაში ან ზარალში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებებში მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ანაბრებს 90 დღის ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად და გასწევენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია უცხოურ სავალუტო ბაზარზე იყენებს სავალუტო სვოპებს. კონტრაჰენტები მეტწილად ადგილობრივი ბანკები არიან.

სამართლიანი ღირებულება ფასდება შეფასების მოდელების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასები და სხვა ფაქტორები, მათ შორის კონტრაჰენტის და კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკი. წარმოებული ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსულობის/(ზარალის) ფარგლებში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

მიუხედავად რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის წარმოებული ინსტრუმენტებისა, ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას.

ნასესხები სახსრები და გამოშვებული მარტივი თამასუქები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ეს ინსტრუმენტები მოიცავს გამოშვებულ მარტივ თამასუქებსა და ნასესხებ სახსრებს. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც წყდება ვალდებულებების აღიარება, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება საწყისი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარებისას მათი შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, და ის ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში, კორექტირდება გარიგებასთან პირდაპირ მიკუთვნებადი დანახარჯებით.

საწყისი აღიარებისას ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო შეფასება არის გარიგების ფასი. თუ კომპანია გადაწყვეტს, რომ საწყისი აღიარებისას შეფასებული სამართლიანი ღირებულება განსხვავდება გარიგების ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება დასტურდება აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასით (ე.ი. 1–ლი დონის მდგენელი) ან ეყრდნობა შეფასების მეთოდს, რომელიც გამოიყენებს მხოლოდ საბაზრო ინფორმაციას, მაშინ კომპანია აღიარებს სხვაობას საწყისი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის, როგორც შემოსულობას ან ზარალს საპროცენტო შემოსავალში ან ხარჯებში, შესაბამისად;
- ყველა დანარჩენ შემთხვევაში ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი შეფასება დაკორექტირდება, რომ გადაავადოს სხვაობა საწყისი აღიარებისას შეფასებულ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის. საწყისი აღიარების შემდეგ კომპანია ამ გადავადებულ სხვაობას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ მაშინ, როდესაც მონაცემები გახდება ბაზარზე მოპოვებადი, ან როდესაც ინსტრუმენტების აღიარება შეწყდება.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ, თუ არსებული კანონი იძლევა აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის უფლებას და არსებობს აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის გაყიდვისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- საწარმოს და ყველა კონტრაჰენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა (გაგრძელება)

ეს პირობები, ზოგადად, არ სრულდება ძირითად საკლირინგო ხელშეკრულებებში და შესაბამისი აქტივები და ვალდებულებები მთლიანად არის წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა უპირატესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან შეინარჩუნა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და

კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე გამსესხებლის წინაშე, რომელსაც მეტწილად განსხვავებული პირობები აქვს ან თუ არსებული ვალდებულების პირობები მეტწილად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება აღირიცხება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო განსხვავება შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, ამასთან სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ჩამოწერა

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან – მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. სალომბარდო სესხები, მათ შესაბამის რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ, ჩამოიწერება და უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრება ხდება მაშინ, როდესაც შესაბამისი სესხი 60–90 დღეზე მეტი ხნით იქნება ვადაგადაცილებული. უიმედო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ამოღების პროცედურები სრულდება ან ფულადი ნაკადების შემდგომი მიღება აღარ არის მოსალოდნელი მსესხებლისგან ან უზრუნველყოფის საგნიდან, რასაც შეიძლება 2 წელი დასჭირდეს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.

(ათას ლარში)

. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

აქტივის გამოყენების უფლება

კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (ე.ი. თარიღში, როცა საიჯარო აქტივი ხელმისაწვდომი იქნება გამოსაყენებლად). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, რასაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი და იცვლება საიჯარო ვალდებულებების ნებისმიერი ხელახალი შეფასების მიხედვით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს აღიარებული საიჯარო ვალდებულებების, თავდაპირველად გაწეული პირდაპირი ხარჯების და დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებული საიჯარო გადახდების თანხას, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდების გამოკლებით. სანამ კომპანიას არ ექნება გონივრული რწმენა იმისა, რომ ის მიიღებს საიჯარო აქტივზე საკუთრების უფლებას იჯარის ვადის გასვლის შემდეგ, აღიარებული აქტივის გამოყენების უფლება ამორტიზირდება წრფივი მეთოდით, მის მოსალოდნელ სასარგებლო ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესით. აქტივის გამოყენების უფლება გაუფასურებას ექვემდებარება.

საიჯარო ვალდებულებები

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ თანხებს (მათ შორის არსებითად ფიქსირებულ გადასახდელებს), რასაც აკლდება ნებისმიერი იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნა, ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც განაკვეთზე ან კოეფიციენტზეა დამოკიდებული და თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის საფუძველზე. ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე აღიარდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშვება ისეთი ვითარება ან სიტუაცია, რომელიც გადახდას იწვევს.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, თუ იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა გაიზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და შემცირდება – განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება საიჯარო ვადის ცვლილებას, ფიქსირებული საიჯარო გადახდების ცვლილებას ან საიჯარო აქტივის ნასყიდობის შეფასების ცვლილებას.

მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12– ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების კონკრეტული იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად (ე.ი. 15 ათას ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე) მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი დაანგარიშდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის ნორმატიული აქტების შესაბამისად.

გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა აქტივის ან ვალდებულების საწყისი აღიარებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება–ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ფასდება საგადასახადო განაკვეთებით (რომლებიც ვრცელდება გაუნაწილებელ მოგებაზე), რომლებიც სავარაუდოდ იმოქმედებს აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების გასტუმრების პერიოდში, იმ საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომლებიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს საანგარიშგებო თარიღისთვის.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია სხვა საოპერაციო ხარჯებში კომპონენტის სახით.

ძვირფასი ლითონები

ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები, რომლებიც მიიღება უზრუნველყოფის საგნის სახით უიმედო მსესხებლებისგან სესხების დასაფარად, თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც უტოლდება დასაკუთრების თარიღისთვის დაფარული სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებას. ამის შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება გადადნობის მოსალოდნელი დანახარჯებით შემცირებული ბლუმბერგის შეთავაზებული ფასით. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები თავდაპირველი აღიარების შემდეგ და ოქროს ზოდების გასხვისების შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება სხვა შემოსავლის ფარგლებში. რადგან ძვირფასი ლითონების და სხვა დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვა ძირითადი შემოსავლის წყაროსთან (კომპანიის საქმიანობები) არ არის დაკავშირებული, კომპანია ამგვარი გარიგებების შედეგებს აღრიცხავს იმავე გარიგებებიდან წარმოქმნილ ხარჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავლის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, გარდა ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება. ამგვარი ხარჯი მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების თვითღირებულებას, ამ ხარჯის გაწევისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. შეკეთება–განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და ისინი შედის საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულება გადაიხედება გაუფასურების მიზნით, როცა მოვლენები ან ცვლილებები ვითარებებში მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ საბალანსო ღირებულება ვერ ანაზღაურდება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
შენობა–ნაგებობები	20–25
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	5
საოფისე აღჭურვილობა	5
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესების ცვეთა ხდება სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს ვადაზე.

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები საწყისი აღიარებისას თვითღირებულებით აღირიცხება. საწყისი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები თვითღირებულებით აისახება, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. შეზღუდული ეკონომიკური მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება შვიდწლიანი ეკონომიკური მომსახურების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც იარსებებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ამორტიზაციის პერიოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფისკალური წლის ბოლოს.

ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გასვლა და ვალდებულებების მოცულობის საიმედოდ შეფასება არის შესაძლებელი.

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ შეფასება.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯები

კომპანია ანგარიშობს საპროცენტო შემოსავლის სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია ინსტრუმენტზე და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, კომპანია საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, კომპანია დაუბრუნდება საპროცენტო შემოსავლის ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, კომპანია საპროცენტო შემოსავალს ანგარიშობს შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშების და ამ განაკვეთის აქტივის ამორტიზებულ ღირებულებაზე მორგებით. შეცვლილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთი წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას ახდენს შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების (საკრედიტო ზარალის ჩათვლით) შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივების ამორტიზებულ ღირებულებამდე დისკონტირებას.

მიღებული გასამრჯელო და საკომისიო შემოსავალი

კომპანია გამოიმუშავებს საკომისიოს ფულადი გზავნილებიდან, რომელთა აღიარებაც ხდება საბაზისო ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ ვალდებულებად. დარიცხული შემოსავლის დაფარვას ჩვეულებრივ ადგილი აქვს საბაზისო გარიგების პარალელურად, ან გარიგების თარიღიდან 30 დღის ვადაში.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად კომპანიის სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ხელახლა კონვერტაცია ხდება საანგარიშგებო თარიღში არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციის კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგება–ზარალის ანგარიშგებაში, როგორც შემოსულობას გამოკლებული საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი – საკურსო სხვაობა.

(ათას ლარში)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია (გაგრძელება)

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის/ზარალის ნაწილში.

2023 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსი იყო 2,6177 (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,702).

სეგმენტის ანგარიშგება

საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო კომპანიას აფასებს, როგორც ცალკე საოპერაციო სეგმენტს, გაცხადებული ფასს შედეგების საფუძველზე. კომპანიის შემოსავლის და აქტივების უმრავლესობა საქართველოშია განთავსებული. მას არ ჰყავს გარე კონტრაჰენტი, რომელმაც 2023 ან 2022 წლებში კომპანიის შემოსავლის 10%–ზე მეტი შეადგინა.

შეფასების განუსაზღვრელობა

ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები. მათ შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9–ის საფუძველზე საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო დაშვებებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- კომპანიის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ასოციაციების განსაზღვრა მაკროეკონომიკურ სცენარებს და ისეთ ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის, როგორიც არის მშპ–ის ზრდის განაკვეთი და უზრუნველყოფის საგნის ღირებულება, მოსალოდნელი დეფოლტის და დეფოლტის შემთხვევაში ზარალის გავლენა;
- პერსპექტიული მაკროეკონომიკური სცენარების და მათი ალბათობის კოეფიციენტის შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ განაახლა დეფოლტის ალბათობის შეფასების მოდელი სასესხო დეფოლტების მეტად დეტალური (ყოველთვიური, ადრე გამოყენებული კვარტალურისგან განსხვავებით) განვლილი ინფორმაციის საფუძველზე. სალომბარდო პორტფელზე დეფოლტის

(ათას ლარში)

ალბათობის შედეგად მიღებულ ზრდას არსებითი გავლენა არ ჰქონია მიმდინარე პერიოდის მოგება–ზარალზე.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა 2024 წლის 30 ივნისი 1,705 იყოს (2023 წლის 30 ივნისი - 3,765).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასება (გაგრძელება)

შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)

იჯარა – ხელშეკრულებების საიჯარო პირობების განსაზღვრა განახლების და შეწყვეტის შესაძლებლობით

კომპანია იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას, ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც ხდება იჯარის გახანგრძლივება, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელია, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც შესაძლებელია იჯარის შეწყვეტა, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებშია შესაძლებელი. კომპანიას არ უღიარებია საიჯარო ვალდებულება საიჯარო გადახდების წილისთვის, 5–10 წელზე მეტ პერიოდებში შეწყვეტის ფუნქციის გათვალისწინებით (საიჯარო აქტივების ხასიათიდან გამომდინარე), რომელიც მნიშვნელოვან განსჯას წარმოადგენს. შეწყვეტის ფუნქციის გათვალისწინებით, რომლით სარგებლობაც მოსალოდნელია.

მისო რიკო ექსპრესი
MFO RICO EXPRESS
საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ.70
ტელ: (995 32) 229 29 29

N84938

12 აგვისტო 2024 წელი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“
პასუხისმგებელი პირების განცხადება

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3 (გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2023 წლის 17 მარტს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 205034639, შემდგომში „ემიტენტი“) მიერ 130 (ას ოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობის სასესხო პორთფელით უზრუნველყოფილი არა-სუბორდინირებული ობლიგაციების (საერთაშორისო ნომერი, ISIN: GE2700604285) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულების ფარგლებში მომზადებული 2024 წლის ნახევარ-წლიური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

თამარ გოგოგბე _____

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს

დირექტორი

ლაშა ნიკოლაიშვილი _____

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

70 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia
Tel.: (+995 32) 229 29 29
www.rico.ge

მმართველობის ანგარიშგება

საქმიანობის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ თითქმის ორი ათწლეულია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. ორგანიზაციამ აქტიური საქმიანობა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო, როგორც საფინანსო ორგანიზაციამ - „რიკო კრედიტი“ და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი, განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია ფინანსურ სექტორში.

1997 წელს ორგანიზაცია „რიკო კრედიტი“ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო საქართველოში, რომელიც ფულადი გზავნილების უმსხვილესი ორგანიზაცია "მანიგრამის“ პარტნიორი გახდა საქართველოში. მოგვიანებით კი „რიკო კრედიტის“ პარტნიორ ორგანიზაციათა რიგს შეემატა „ვესტერნ უნიონი“ (Western Union), „იუნისტრიმი“ და სხვა მრავალი.

2007 წლის აპრილის თვიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად - „რიკო ექსპრესი“. 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია ქალბატონი დალი ურუშაძე.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებას სამსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სტრუქტურით - კონტროლი და მართვა გამიჯნულია ერთადერთ აქციონერს, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო კი წარმოადგენს მთავარ მმართველობით ორგანოს და საკუთარი ამოცანების შესრულებისას ეყრდნობა მასთან არსებულ კომიტეტებს - აუდიტისა და რისკის კომიტეტებს. კომპანია სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

დღესდღეობით მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ უკვე 18 პარტნიორი ორგანიზაციის მეშვეობით განახორციელონ ყველაზე მოქნილი და დაბალპროცენტიანი სერვისი ფულადი გზავნილების მიმართულებით. „რიკო ექსპრესი“ თითოეული ფინანსური ორგანიზაციის პირდაპირი პარტნიორია საქართველოში, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს ან გააგზავნოს ფული მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით, დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს საკუთარ ფულად გზავნილებს: „რიკო-გრამ ისრაელი“, „რიკოგრამ Small World“, „რიკოგრამ I-transfers“, „რიკოგრამ Titanes“ გზავნილების გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ყოველდღე ,24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომ ფასად.

"რიკო-გრამ საქართველო" არის ფულადი გზავნილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა საქართველოს მასშტაბით, რიკო ექსპრესის და პატრნიორი ბანკების (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ტერა ბანკი და კრედო ბანკი) ნებისმიერ ფილიალში. თანხის გაგზავნის საკომისიო შეადგენს 0.5%-ს, მინიმალური 1 ლარი/ევრო/დოლარი.

ასევე 2008 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესმა“ ბაზარს იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და უნიკალური პროდუქტი „ოქროს თამასუქი“ შესთავაზა. „ოქროს თამასუქი“ ეს გახლავთ ფასიანი ქაღალდი, რომლის შეძენაც შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს „რიკო ექსპრესმა“ თანხის დაბანდებით. ეროვნულ ვალუტაში ოქროს თამასუქის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქზე შემოსატანი თანხა აღემატება 100 000 ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში/ევროში. თამასუქის გახსნა ასევე შესაძლებელია თუ უკვე არსებული თამასუქის თანხები და შემოსატანი თანხების ჯამი აღემატება 100 000 ლარის ექვივალენტს.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ მომხმარებლებს სთავაზობს სალომბარდო სესხით სარგებლობას: ოქროს, ვერცხლის გარანტიით, ყოველგვარი საკომისიოს გარეშე; სესხი, რომელსაც „რიკო ექსპრესი“ გასცემს, ინდივიდუალურად მომხმარებლის კონკრეტულ თვიურ შემოსავალზეა მორგებული და მხოლოდ ამ პირობებიდან გამომდინარე განისაზღვრება კონკრეტული სესხის რაოდენობა და ტიპი, რათა ზუსტად იყოს განსაზღვრული სესხის ეფექტურობა, მომხმარებლის უფლებები და პირობები კი - დაცული.

კორპორაციული მართვა

კორპორაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისადმი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციასადმი და ანგარიშვალდებული საწარმოსადმი. კომპანიას გააჩნია სამ საფეხურიანი მართვის სტრუქტურა, სადაც უზენაეს ორგანოს წარმოადგენს ერთპიროვნული დამფუძვნებელი, ხოლო უშუალო მართვაში კი მეტწილად ჩართულია სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო არის აქტიური კომპანიის მართვის საკითხებში და მისი თავმჯდომარე სიღრმისეულადაა ჩახედული ყველა გამოწვევასა თუ ამოცანაში, რაც კომპანიას უდგას ჩვეული საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში. აღმასრულებელი დირექტორი ერთიროვნულად უძღვება კომპანიის ყოველდღიურ მართვას, წარმოადგენს მას საქმიან ურთიერთობებში და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასახული ამოცანების იმპლემენტაციას. „ობლიგაციების“ ემისიის შედეგად კომპანია გახდა ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების კომპანიების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან.

კომპანიის მმართველო ორგანოებია: (ა) ერთპიროვნული პარტნიორი; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) აღმასრულებელი დირექტორი. კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორია ქ-ნი დალი ურუშაძე, შესაბამისად, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და კომპანიის წესდების მიხედვით, მის კომპეტენციაში შემავალ კორპორაციული მართვის საკითხებზე დგება ერთპიროვნული პარტნიორის გადაწყვეტილება - არ არის საჭირო პარტნიორთა კრების მოწვევა და/ან მისი ჩატარება. აღნიშნული საკითხებია: • კომპანიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; • სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა; • სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობის განსაზღვრა და მათი დანიშვნა; • იმ დამატებით უფლებათა გამოყენება, რომელიც კომპანიას აქვს დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე აღმასრულებელი დირექტორის და/ან პარტნიორის მიმართ, აგრეთვე კომპანიის წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომელსაც იგი აღმასრულებელი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს; • წლიური შედეგების დამტკიცება და განკარგვა; • დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წესდება შედგენილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის მიღების შემდეგ და შესაბამისად, ითვალისწინებს საჭირო საკანონმდებლო მოთხოვნებს. კომპანიის მმართველი ორგანოების დანარჩენი წევრები არიან: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ლაშა ნიკოლაიშვილი სამეთვალყურეო საბჭოს წევრები - ვლადიმერ შავლაყაძე, დავით შენგელია სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ანა ნიკოლაძე აღმასრულებელი დირექტორი - თამარ გოგოძე

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია დალი ურუშაძე, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის ერთპიროვნული მფლობელის შვილი. ჩამოთვლილ პირებს შორის სხვა ნათესაური კავშირი არ არსებობს. ქ-ნი დალი ურუშაძე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს, აქვს მრავალწლიანი გამოცდილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მართვაში. იგი წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს მისი დაფუძნების დღიდან. გარდა კომპანიისა, იგი ასევე ერთპიროვნული პარტნიორია შპს „რიკო“-სი, რომელიც 2007 წლიდან დღემდე წარმატებულად საქმიანობს. ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და აგრეთვე არაერთი კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძვნებელს (მათ შორისაა შპს „რიკო ფეი“, შპს „რიკო კრედიტი“ და სხვ.). ბ-ნი ლაშას გააჩნია თითქმის ოცწლიანი გამოცდილება საფინანსო სექტორში აქტიური მოღვაწეობისა, მათ შორის, მმართველ პოზიციებზე. კომპანიის დაფუძნების დღიდან ბ-ნი ლაშა აქტიურად ჩართულია მის მართვაში და, სამეთვალყურეო საბჭოსთან და კომპანიის მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრებთან ერთად განსაზღვრავს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ქ-ნი თამარ გოგოძე წარმოადგენს

საფინანსო სექტორში მომუშავე გამოცდილ მენეჯერს, რომელიც, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, მრავალი წელია წარმატებით ართმევს თავს ყოველდღიური მართვის ამოცანების შესრულებას. ბ-ნი ვლადიმერ შავლაყაძე წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშობის 20-წლიანი გამოცდილება. ბ-ნი ვლადიმერი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა 2003 წელს საინფორმაციო ტექნიკური განყოფილების უფროსად, 2007 წლიდან კი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ბ-ნი დავით შენგელია წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშაობის 22-წლიანი გამოცდილება. ბ-ნი დავითი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა მენეჯერის პოზიციაზე. 2004-დღემდე არის რიკო ექსპრესის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი, 2018 წლიდან დღემდე კი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ქ-ნი ანა ნიკოლაძე წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს. მას აქვს 10-წლიანი გამოცდილება საბანკო სექტორში. 2018 წლიდან დღემდე არის სს „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული ბანკინგის უფროსი, 2012-2018 წლებში მართავდა ტერაბანკის იმავე განყოფილებას. 2007-დან 2012 წლებში მუშობდა Kor Standard Bank-ში სხვადასხვა პოზიციებზე. ქ-ნი ანა 1993-2003 და 2003-2005 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის განხრით, 2007-2010 წლებში სწავლობდა ESM-ში, სადაც მოპოვებული აქვს MBA, 2017 წელს კი გავლილი აქვს პროექტების მენეჯმენტის კურსი George Washington University-ში.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ირჩევიან 3 (სამი) წლის ვადით და მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს საკუთარი შემადგენლობიდან. დღეის მდგომარეობით ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო კომპანიის მართვისა. მხოლოდ მისი თანხმობით შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

• კომპანიის საქმიანობის, პოლიტიკის, სტრატეგიის, პროცედურების, შინაგანაწესის, სტრუქტურის, საშტატო განრიგის, დებულებების, ინსტრუქციების და ა.შ. დამტკიცება;

• ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;

• აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა, მასთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, მისი ანგარიშების გასხვისება;

• იმ აქტივების შეძენა და გასხვისება, რომელთა ღირებულებაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს;

• იმ სესხებისა და ვალდებულებების აღება, რომელთა ოდენობაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%- ს; • პროკურის გაცემა და გაუქმება; • რეკომენდაციების მომზადება პარტნიორის გადაწყვეტილებისათვის;

• გარე აუდიტორის არჩევა და სხვ.

დირექტორის ძირითადი მოვალეობების აღწერა:

• დირექტორის მოვალეობაში შედის კომპანიის მართვა და მე-3 მხარეებთან ურთიერთობა. კომპანიას ყავს 1 დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;

• დირექტორს აქვს წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებები კომპანიაში;

• დირექტორს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს კომპანიის ყოველდღიური მართველობა, ისევე როგორც მართოს გარკვეული საკითხები, რაც არ არის კონკრეტულად მინიჭებული დამფუძნებელთა კრებისთვის ან სამეთვალყურეო საბჭოსთვის;

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი ორი სათათბირო კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. ხსენებული კომიტეტების წევრებსა და ხელმძღვანელებს ნიშნავს, მათ ფუნქციებს განსაზღვრავს და შესაბამის შიდა სახელმძღვანელოებს ამტკიცებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელსაც ჰყავს არანაკლებ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო „კომპანიის“ წესდების შესაბამისად. აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის

შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას. „ომპანიის აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან: აუდიტის კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი; აუდიტის კომიტეტის წევრი: დავით შენგელია;აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე; რისკების კომიტეტი „კომპანიას“ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი რისკების კომიტეტი. რისკების კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) პერიოდულად განიხილოს და გაუწიოს რეკომენდაცია მენეჯმენტს რისკის აპეტიტის პარამეტრების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენოს მენეჯმენტმა კომპანიის ოპერირებაში; 2) მიიღოს ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ რისკებთან დაკავშირებით; 3) შედეგების მონიტორინგი კომპანიის რისკის აპეტიტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; 4) რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის რისკისა და შესაბამისობის ანგარიშების გადახედვა, მათ შორის, ანგარიშებს ძირითადი რისკების ზემოქმედების შესახებ და გადადგმული ნაბიჯები ასეთი ზემოქმედების მონიტორინგის, შერბილებისა და კონტროლისთვის; 5) პერიოდულად განიხილოს მენეჯმენტის მარეგულირებელი კორესპონდენცია და ქმედებები; 6) კომპანიის სტრეს ტესტირების პროგრამისა და შედეგების განხილვა და დამტკიცება; 7) კომპანიის მენეჯმენტთან ერთად პერიოდულად განიხილოს რისკის პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პროცესები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე კომპანიის მიმდინარე და განვითარებადი რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი. კომიტეტი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს საბჭოს ნაცვლად ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კანონით, რეგულაციებით ან არსებული პოლიტიკით შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში. „კომპანიის“ რისკების კომიტეტი შედგება შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან: რისკების კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი; რისკების კომიტეტის წევრი: ვლადიმერ შავლაყაძე; რისკების კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე.

მიკროსაფინანსოს ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა

ძირითადი ფინანსური ინფორმაცია

	დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)		
ათასი ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული	*30 ივნისი 2024წ*	*30 ივნისი 2023წ*	*ცვლილება*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	40,922	35,453	5,469
წლის მოგება	28,933	25,705	3,228
მთლიანი აქტივები	644,405	592,543	51,862
კლიენტებზე გაცემული სესხები	529,491	439,224	90,267
მთლიანი ვალდებულებები	325,992	272,147	53,845
მთლიანი კაპიტალი	318,512	320,396	1,884

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის დონეს, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვარს ქვემოთ არასდროს ჩამოსულა და 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით 25,04%-ით განისაზღვრა.

ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით კომპანიაში ფუნქციონირებდა შემდეგი 57 ფილიალი.

1	ვაკის ცენტრალური ფილიალი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. 70
2	ვაკე სერვის ცენტრი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N12
3	პუშკინის ფილიალი	თბილისი	პუშკინის ქუჩა 21
4	თამარ მეფის ფილიალი	თბილისი	თამარ მეფის გამზ. 9
5	ვარკეთილის ფილიალი	თბილისი	ჯავახეთის ქ. 2
6	საბურთალოს ფილიალი	თბილისი	ალ. ყაზბეგის გამზ. N41
7	ნაძალადევის ფილიალი	თბილისი	დადიანის ქ.N77
8	გლდანის ფილიალი	თბილისი	ხიზანიშვილის ქ N1
9	პეკინის ფილიალი	თბილისი	პეკინის ქ. 5
10	ლილოს ფილიალი	თბილისი	კახეთის გზატკეცილი N112
11	დიდუბის ფილიალი	თბილისი	ა. წერეთლის გამზირი 141ა
12	ბულაჩაურის ფილიალი	თბილისი	ა. კალანდაძის ქუჩა 4
13	რუსთავის ფილიალი	რუსთავი	მეგობრობის ქ. N3
14	რუსთავის ფილიალი 2	რუსთავი	კოსტავას ქ. 19
15	მარნეულის ფილიალი	მარნეული	შ. რუსთაველის 60ა
16	თელავის ფილიალი	თელავი	ქ. წამებულის ქუჩა . N11
17	გორის ფილიალი	გორი	ი. ჭავჭავაძის გამზ. .N6
18	ხაშურის ფილიალი	ხაშური	ი.სტალინის ქუჩა. N112
19	სამტრედიის ფილიალი	სამტრედია	ჭავჭავაძის ქუჩა .N13
20	ქუთაისის ფილიალი	ქუთაისი	ჭავჭავაძის გამზირი. N62
21	ქუთაისის ფილიალი 2	ქუთაისი	დავით აღმაშენებლის მოედანიN2
22	ქუთაისის ფილიალი 3 (ნიკეა)	ქუთაისი	ნიკეას ქ. N2
23	წყალტუბოს ფილიალი	წყალტუბო	ი. ჭავჭავაძის ქ. N9
24	ზესტაფონის ფილიალი	ზესტაფონი	დ. აღმაშენებლის ქ. .N87

25	ფოთის ფილიალი	ფოთი	მ. ლოლუას ქ.2.
26	ბათუმის ფილიალი	ბათუმი	ი. ჭავჭავაძის ქ. 25
27	ბათუმის ფილიალი 2	ბათუმი	ბარათაშვილის ქ. 18
28	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	ზვიად გამსახურდიას გამზ. 28
29	გურჯაანის ფილიალი	გურჯაანი	წმინდა ნინოს ქ. N1
30	დიდი დიღმის ფილიალი	თბილისი	იოანე პეტრიწის N 13
31	რუსთაველის ფილიალი	თბილისი	შოთა რუსთაველის გამზ. N31/13
32	მუხიანის ფილიალი	თბილისი	ა. გობრონიძის ქ. N 1ბ
33	ქობულეთის ფილიალი	ქობულეთი	შოთა რუსთაველის N 3
34	სამგორის ფილიალი	თბილისი	მოსკოვის გამზ. N1
35	ქუთაისის ფილიალი	ქუთაისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. 50
36	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	მ. კოსტავას 5ა
37	სენაკის ფილიალი	სენაკი	ი. ჭავჭავაძის 123
38	ვაჟა-ფშაველას ფილიალი	თბილისი	ვაჟა-ფშაველას IV კვ. კორპ. 3ბ
39	სარაჯიშვილის ფილიალი	თბილისი	გურამიშვილის გამზ. N45
40	დიღმის მასივის ფილიალი	თბილისი	ევგენი მიქელაძის ქ.N7ა
41	ჭიათურის ფილიალი	ჭიათურა	ნინოშვილის ქ.N 9
42	წერეთელის ფილიალი	თბილისი	ა. წერეთლის გამზირი 114ა
43	ოზურგეთის ფილიალი	ოზურგეთი	ა. წულაძის ქ.N5
44	ახალქალაქის ფილიალი	ახალქალაქი	თავისუფლების ქ.N71
45	ახალციხის ფილიალი	ახალციხე	კოსტავა ქ.N10
46	კასპის ფილიალი	კასპი	სააკაძის ქ.N 88
47	ბოლნისის ფილიალი	ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის 101
48	ბორჯომის ფილიალი	ბორჯომი	მესხეთის 3
49	ქუთაისი - ბუკიას ფილიალი	ქუთაისი	ბუკიას და ავტომშენის ქუჩის კვეთა
50	აბაშის ფილიალი	აბაშა	თავისუფლების 54
51	ისნის ფილიალი	თბილისი	მეტრო ისნის მიმდებარედ
52	ვერის ფილიალი	თბილისი	კოსტავას 24
53	ქარელის ფილიალი	თბილისი	თამარ მეფის 41
54	გორი-2 ფილიალი	თბილისი	ცხინვალის გზატკეცილი 9

55	გარდაბანი	გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქუჩა
56	ვაზისუბნის ფილიალი	თბილისი	ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვარტ შანდორ პეტეფის ქუჩა
57	ბათუმი	ბათუმი	კობალაძის 8ა

ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე; საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ლარის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში

ადამიანთა უფლებები

კომპანია ზრუნავს როგორც დასაქმებულების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, კერძოდ: ა) კომპანია სრულად ადაპტირებულია მოქმედ კანონმდებლობაში განმტკიცებულ დასაქმებულთა უფლებების დაცვის წესრიგთან. შრომითი მოვალეობების შესრულების პროცესში დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო შესვენების და დასვენების დროით, შვებულებებით, მაღალი კლასის სამედიცინო დაზღვევით და სხვა სოციალური დაცვის გარანტიებით, ამასთანავე, კომპანიაში მოქმედებს სავალდებულო საპენსიო სქემა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, მათ შორის წინასახელშეკრულებო ეტაპზე. კომპანიაში შექმნილია შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული უსაფრთხო

შრომის პირობების შექმნაში. შემუშავებულია რისკების შეფასების დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებულია კომპანიის საქმიანობის პროფილის შესაბამისი რისკები და განსაზღვრულია რისკების საშიშროების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებები. ბ) კომპანიაში მოქმედებს პრეტენზიების მართვის დეპარტამენტი, რომელიც მომხმარებელთა პრეტენზიებზე ახდენს რეაგირებას, ხოლო ყოველთვიურად ეროვნულ ბანკს უზიარებს რეაგირების შედეგებს. თითოეული პრეტენზია ინდივიდუალურად შეისწავლება და გადაწყვეტილება მიიღება კომპლექსური მოკვლევის საფუძველზე.

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო უძღვება კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვას და აღსრულებას. ამ საქმიანობაში ნულოვანი ტოლერანტობაა გაცხადებული კორუფციული მიზნით განხორციელებული ფაქტების მიმართ, როგორიცაა ვინმესთვის რაიმე ღირებულის მქონე სარგებლის დაუმსახურებლად შეთავაზება ან მიღება, ასევე არასათანადო გადახდები საჯარო მოხელეების ან კერძო პირების მიმართ, მათი მხრიდან რაიმე სახის უპირატესობის მისაღებად, რაც მოიცავს როგორც ქრთამის გადახდის დაპირებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ასევე მის მიღებაში ნებისმიერი ფორმით დახმარებასაც.

დასაქმების საკითხები

ჩვენი გუნდი

შპს მისო ,,რიკო ექსპრესში“ 2024 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 683 თანამშრომელი. თანამშრომელთა მიღება ხდება გასაუბრების საფუძველზე. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევს ყველაზე მოტივირებულ, მონდომებულ და კეთილსინდისიერ თანამშრომლებს, რომლებიც თავიდან მიიღებიან სტაჟირების ხელშეკრულების საფუძველზე. სტაჟირების წარმატებულად გავლის შემდგომ მათთან იდება ძირითადი დასაქმების ხელშეკრულება.

საქმიანობაში უმთავრესი და უპირველესი არის ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ მათთვის შეიქმნას ოპტიმალური და ჯანსაღი პირობები ეფექტური და წარმატებული შრომისათვის. თანამშრომლებისადმი მიდგომის საბაზისო საყრდენი არის სამართლიანობა, რაც გამოიხატება ადეკვატური ანაზღაურებით და პრემიების გაცემით, ყოველწლიურად ხდება ხელფასის გადახედვა და ზრდა. არ ხდება უსაფუძვლო პრივილეგიები სამსახურში აყვანის დაწინაურების, ხელფასის თუ პრემიის გაცემისას. კომპანია იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე და სანაცვლოდაც მათგან მოითხოვს კეთილსინდისიერ და ნაყოფიერ საქმიანობას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, რაც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გამოცემულ შინაგანაწესში.

უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, რათა თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.

კომპანიის სათავო ოფისსა და ფილიალებში მოწყობილია აუდიო-ვიდეო მონიტორინგისა და სიგნალიზაციის სისტემები. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია

ბეტონის კედლები და დაჯავშნილი მინები. ყველა თანამშრომელი დატრენინგებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საეჭვო სიტუაციებში. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებას.

ფილიალებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და შენობის საევაკუაციო გეგმა, რომლის შესახებაც ინფორმირებულები არიან თანამშრომლები. ასევე, გამართულია სავენტილაციო სისტემა, რაც დადებითად აისახება თანამშრომლის ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

კომპანია თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობის და სამოგზაურო დაზღვევით.

კომპანია ზრუნავს არამარტო თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებას, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. მუდმივად ხდება შემოსულ პრეტენზიებზე რეაგირება.

კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა ნებართვის მოპოვებას ან მათი პირობების დაცვას ან და თუ საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს, კომპანიას შეიძლება დაუწესდეს სერიოზული საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე ოფიცრების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სამომხმარებლო სესხების გაცემა. მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთებზე ზედა ზღვარის შემოღებამაც შეიძლება გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის „მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმს“ იყენებს, ნებისმიერი ცვლილება ამ რეგულაციებში და ამ ცვლილებებთან შესაბამისობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს.

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრირებას ეხება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მინიმუმ 1 000 000 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი, 2) სესხების გაცემა 100 000 ლარამდე, 3) მხოლოდ საკრედიტო ოპერაციების განხორციელება და უარის თქმა მომხმარებლებისგან დეპოზიტების მიღებაზე, 4) წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმ 50%-მდე და 5) წლიური ჯარიმის საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 1,5-მაგ ოდენობამდე.

2018 წლის იანვრიდან მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური კომპანიების მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. **საბაზრო რისკს** წარმოადგენს სავალუტო და საპროცენტო რისკები. **საკრედიტო რისკი** ეს არის კონტრაგენტების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების უუნარობით გამოწვეული დანაკარგი, კერძოდ პროცენტების და ვალის ძირითადი თანხის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის გამო. კომპანიის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ხორციელდება კომპანიაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილება და გამოყენების ხელშეწყობა, აქტივების დაცვა და გაძლიერება, ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარება და გაძლიერება, ოპერაციების ოპტიმიზაცია და სხვა. კომპანია აფასებს იდენტიფიცირებულ რისკებს, თუ რომელი და რა დონის რისკისთვის არის მზად, ასევე რა ღონისძიებები გაატაროს რისკის შესამცირებლად. რისკების შემცირების მიზნით, კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ძირითადად მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე. უზრუნველყოფის საშუალებებს კომპანია იყენებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად.

საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობისათვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისთვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორიცაა გარემოს, ტექნოლოგიებისა და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე, დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას. სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება, სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 100 000 ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვნიან, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაიცემა იპოთეკური სესხი, რომლის

თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30%-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ მყიდველზე ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებში.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში თუ მსესხებელი 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი დამატებით მიცემულ ვადაშიც არ დაფარავს დავალიანებას, მაშინ კომპანია ჩამოწერს სესხს და ყიდის უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე, ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 60 დღეზე მეტი დღითაა ვადაგადაცილებული. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნა და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად. თუმცა, ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოების ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს კიდევ 3 თვე.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც განაპირობებს ინვესტიციის ღირებულების შემცირებას საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მთლიანად პროცესზე და ფინანსური ბაზრების მდგომარეობაზე. იგი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ აქტივების დივერსიფიცირებით, რომლებიც არ არიან კორელირებული ბაზართან როგორიცაა ალტერნატიული კლასის აქტივები. საბაზრო რისკს „სისტემურ რისკსაც“ უწოდებენ, რადგან ის დაკავშირებულია ფაქტორებთან, მაგალითად როგორიცაა რეცესია, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად ბაზარზე. საბაზრო რისკი მოიცავს შემდეგ რისკ ფაქტორებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საბაზრო რისკს:

1. სავალუტო რისკი - ეს არის სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.

2. კაპიტალის რისკი - აქციათა ფასის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.

3. ინფლაციის რისკი - ინფლაციამ პოტენციურად შეუძლია განაპირობოს ფასების ზრდა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც თავის მხრივ იწვევს ფულის გაუფასურებას.

3. საპროცენტო განაკვეთების რისკი - რისკი, რომელიც მოდის პროცენტის გაზრდის ან შემცირების საფუძველზე.

ფინანსური ისტებლიშმენტი რუტინულად ეჩეხება სხვადასხვა ტიპის რისკებს საოპერაციო საქმიანობისას. რისკები განპირობებული ფინანსური ზარალის გაურკვევლობით, შეუძლია დაასახიჩროს ბიზნესი ან ზიანი მიაყენოს დროსთან ერთად თუ დროულად არ დავძლევთ მას. რისკის მართვის მექანიზმი უნდა შემუშავდეს რისკების მართვის ფილოსოფიის საფუძველზე, რათა მინიმიზაცია გავუკეთოთ იმ რისკებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დაზარალონ კომპანიის ფინანსური მგომარეობა. ეს გულისხმობს პოტენციური რისკების გამოვლენას, ანალიზს და იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც ამ რისკებს შეამცირებს ან გააუვნებლებს.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის ძირითადი ამოცანაა თანამედროვე მეთოდებით და ტექნოლოგიებით ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და ანალიზი. ამავდროულად საოპერაციო საკრედიტო რისკების ეფექტური მართვა და სახელმწიფო რეგულაციების სწორი გაგება და შესატყვისი შიდა განაწესის პოლიტიკის შემუშავება რათა კომპანიის მართვა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულაციებს და ნორმატივებს. ყველაფერი ეს არის ერთ-ერთი პერსპექტიული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გავიგოთ ყველაზე მკაცრი, პერმანენტული და მნიშნელოვანი რისკების პოტენციალი ბიზნესში და უზრუნველვყოთ დანაკარგების შემცირება კომპანიის საქმიანობაში.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტაში.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი, ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით. საოპერაციო რისკის შემცირება ხდება კონტროლის სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, თანამშრომლების სპეციალიზირებას, შიდა აუდიტს.

სამომავლო სტრატეგია და მიზნები

კომპანია მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების საქმიანობა, განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, იგეგმება დამატებითი ფილიალების გახსნა ახალ გეოგრაფიულ არეალებში - საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში, კადრების მოზიდვა, მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება და რაც მთავარია წლიური ბრუნვის შენარჩუნება და ზრდა, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში მიმართული თანხების ზრდის პირდაპირპროპორციულია. აღსანიშნავია, რომ არ იგეგმება მიმართულების რადიკალური ცვლილება ან არა-პროფილურ ბიზნესებში შესვლა. კომპანიის გეგმებით, აღნიშნული კაპიტალური დანახარჯების ფინანსურება მოხდება საკუთარი რესურსებით. დამატებით კომპანია გეგმავს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ადამიანურ რესურსზე: მოიზიდოს პროფესიონალი კადრები და მოახდინოს არსებული დასაქმებული კადრების გადამზადება. კომპანიის სტრატეგიაა განაგრძოს მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება, დანერგოს ინოვაციური პროდუქტები და მოახდინოს კომპანიის სერვისების დიჯიტალიზაცია, რითაც გაიზრდება პროდუქტებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ ამისათვის კომპანიაში უკვე აშენდა თანამედროვე და მაღალი სტანდარტებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დატაცენტრი. დამატებით, კომპანიაში დაინერგა ALTA პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ბიზნესთან და საბანკო მარეგულირებლთან დაკავშირებულ საკითხებს.

გარემოს დაცვის საკითხები

კომპანია, გარემოს დაცვის მიზნით, გამონაბოლქვის შესამცირებლად, ეტაპობრივად ახორციელებს საწვავზე მომუშავე მანქანების ელექტრო მანქანებით ჩანაცვლებას.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

დირექტორი:

თამარ გოგოძე